

**კირნათ-მარადიდული ლექსიკა
თურქეთის კლარჯულ
ლექსიკასთან მიმართებით
VOCABULARY OF KIRNATI-MARADIDI
IN RELATION TO KLARJETIAN VOCABULARY
IN TURKEY**

მაია ბარამიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო

მამია ფაღავა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო

Maia Baramidze

Batumi Shota Rustaveli State University
Batumi, Georgia

Mamia Paghava

Batumi Shota Rustaveli State University
Batumi, Georgia

ABSTRACT

Kirnati-Maradidi, together with Mirveti, is a part of historical Klarjeti. Currently, these villages are part of the Khelvachauri municipality in the Autonomous Republic of Adjara. The rest of Klarjeti is now part of the Republic of Turkey, including Murghuli, Borchkha, Artanuj and Artvin ilche (districts) of Artvin ili (province). The descendants of Klarjeti immigrants also live in the inner provinces of Turkey. Maradidi is divided into two parts by the Georgia-Turkey border: the upper part is in the Republic of Turkey, and the lower part is in Georgia. Naturally, the geographical separation was reflected in the speech as well. The article discusses the relationship between the vocabulary of Kirnati-Maradidi and the vocabulary of Georgian Klarjeti (Jivani, Devskeli, Bujuri, Gurbini, Bashkou, Kartla, Iski, Avana, Adagul). Remarkable findings were revealed in this analysis:

1. Common words with the same meaning in both regions.
2. Common words with expanded meanings in the Turkish language.
3. Words with different meanings in the speech of the named villages.
4. Words found exclusively in the speech of the villages of Klarjeti in Turkey or Georgia.

საკვანძო სიტყვები: ქართული დიალექტური ლექსიკა, კლარჯული დიალექტი, კირნათ-მარადიდული ლექსიკა.

Keywords: Georgian dialect vocabulary, Klarjetian dialect, vocabulary of Kirnati-Maradidi.

კირნათი და მარადიდი (ქვემო მარადიდი) ჭოროხის ხეობის საზღვრისპირა სოფლებია, რომლებიც საქართველოს შემადგენლობაში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებშია. ისტორიულად დასახელებული სოფლები მირვეთთან ერთად კლარჯეთის ნაწილი იყო. მიუხედავად ამისა, „ქართული დიალექტოლოგიის ტრადიციით კირნათ-მარადიდის მეტყველება აჭარული კილოს ქვემოაჭარული კილოკავის ნაწილად მიიჩნეის. თუმცა ორ სოფელში ჩაწერილი მასალებიც გვიჩვენებდა, რომ საქმე გვქონდა სტრუქტურულად აჭარულისაგან განსხვავებულ მეტყველებასთან“ (ფალავა... 2008: 233).

უკანასკნელ ხანებში მოპოვებული მასალის მიხედვით ცხადი ხდება, რომ მირვეთის, კირნათისა და მარადიდის მეტყველება კლარჯულ კილოს უნდა მიეკუთვნოს.

ამჯერად ცალკე გამოვყოფთ საკითხს – კირნათ-მარადიდის მეტყველებისა (ვუწოდოთ საქართველოს / აჭარის კლარჯეთი) და კლარჯული კილოს (რამდენიმე სოფლის – ჯივანის, დევსქელის, ბუჯურის, გურბინის, ბაშქოდს, ქართლას, ისკების, ავანას, ადაგულის... პირობითად ვუწოდოთ თურქეთის კლარჯეთი) ლექსიკის ურთიერთმიმართებას. აღნიშნული სოფლების ლექსიკაში გამოვყოფთ სიტყვათა შემდეგ ჯგუფებს:

1. საერთო სიტყვები, რომელთაც ორივე რეგიონში ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვთ.

2. საერთო სიტყვები, რომელთა მნიშვნელობები თურქეთის კლარჯეთის მეტყველებაში გაფართოებულია.

3. სიტყვები, რომელთაც დასახელებული სოფლების მეტყველებაში განსხვავებული მნიშვნელობები აქვთ.

4. სიტყვები, რომლებიც დასტურდება მხოლოდ თურქეთის ან საქართველოს კლარჯეთის სოფლების მეტყველებაში.

I. ლექსიკის დიდ ნაწილს შეადგენს ის სიტყვები, რომელთაც მთელს კლარჯულ კილოში ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვთ. დავასახელებთ რამდენიმეს:

აღება – ყიდვა, აღებული – ნაყიდი, ახალი – ახალგაზრდა, ახლობირ – ახლობანში, გაბლეზება – გაბრაზება, გაგდება – მიტოვება, თავის დანებება, გაგნება – მიხედვით, გათევა – გაძლევა, გარგანი – ჯოხი, დაკავება – დაჭერა, დაპატიმრება, დასახლება – დაქორწინება, დაოჯახება (მამაკაცისა), მიძრა – მიხურვა, დაყრა – დაკეტვა, ერთხელად – ერთად...

II. კლარჯულის საერთო სიტყვათაგან ბევრის მნიშვნელობა თურქეთის კლარჯეთის მეტყველებაში გაფართოებულია:

კითხვა მთელს კლარჯულში რამდენიმე მნიშვნელობით იხმარება:

ა. ძირითადი მნიშვნელობით: **კითხვა** – წაკითხვა (წერის საპირისპიროდ):

ჩემი დედეჲ ჰემ **წერედა**, ჰემ **კითხულობდა** (ისკები); ჩემი ღარჭებმა ყურანი **კითხულობენ** (იბრიქი)...

მერიმა გაზეთი არ მომიტანა, ვერ **წევკითხე** (კირნათი); ჰაჯერავ, ჰაჯერ, რაები **წაგაკითხო** (კირნათი)...

ბ. შელოცვის მნიშვნელობით:

ბევრი საქონელი ყავან, **ვუკითხავთ** (ჯივანი); ექსიპირ (=ექსჯერ) ეს'ნა **ჩეიკითხო** (ადაგული)...

მაგას **კითხვით** ეშველება (მარადიდი)...

გ. ლოცვის მნიშვნელობით:

მე **ვიკითხავ** და მოვალ (თხილაზორი)...

დ. „სწავლის, განათლების მიღების“ მნიშვნელობით კითხვა გვხვდება თურქეთის კლარჯულ მეტყველებაში, ამ სიტყვას დასახელებული მნიშვნელობა არ აქვს კირნათისა და მარადიდის მეტყველებაში (კითხვა „სწავლის“ მნიშვნელობით გვხვდება აჭარულში: მაგას რას უყურეფ, **ნაკითხი** კაცია (ორთაბათუმი):

ეს ანკარას **იკითხავს** (ტრაპენი); მე იმდენი არ **მიკითხია**, ჩვენ დრობიხან არ იყო **კითხვა** (ქართლა); **კითხულობ** თუ შენ? რა'ნა გახდე? (ბუჯური); მისი ბიძაშვილი იქ **იკითხა** და ორითმენი (=მასწავლებელი) გახდა (ჯივანი); არ ვიცი, გეყურებანე, არ **მიკითხია** (ჯივანი)...

იშვიათად **სწავლებაც, სწავლაც** იხმარება, მაგრამ არა განათლების მიღებისა და გადაცემის მნიშვნელობით – ნიშნავს ზოგადად „რაიმეს დასწავლას, რაიმეს ცოდნას“:

შენ ჰად **დეიწავლე** ასე კოვზის დადება? ეს „არ მინდას“ თქმა არი (ისკები); ქალი ქალია, ჰამა კახელი სხვა ქალია, ეს ბაბომ **დამაწავლა** (დევესქელი); ლოცვა არ **დავაწავლე** (ჯივანი)...

ერცხვა – მთელ კლარჯულში ფართოდ გავრცელებული ლექსიკური ერთეული, მიღებულია ორი სიტყვის შეერთებით: **ერთი** და **სხვა**: **ერთისხვა** > **ერთსხვა** > **ერცხვა** (თ'ს ჩავარდნითა და **ს : ც** მონაცვლეობით). მისი მნიშვნელობაა „კიდევ, მეორეჯერ“:

გეგხედოთ, რომ **ერცხვა** მუუჯახუნა ვინცხამ (კირნათი); **ერცხვა** არ შამუშუშეფ ეს ბაღნები ამ საშრობში (კირნათი); **ერცხვა** გაამეს, **ერცხვა** დემახა მეგერ (კირნათი)...

ერცხვა ვერ დიგინახავთ (ისკები); იმის ფეხი თუ გონჯია, **ერცხვა** არ მედყვანდენ (ერენქო); **ერცხვა** მოხვალ, დევწავლით (ტრაპენი)...

საერთოკლარჯულში ამ სიტყვას სხვა მნიშვნელობა არ აქვს. კირნათ-მარადიდის მეტყველებისაგან განსხვავებით, თურქეთის კლარჯეთის მეტყველებაში გამოიყენება მსაზღვრელადაც, აღნიშნავს „შემდგომს, მომდევნოს, დანარჩენს“:

ერცხვა წლამდე რომ ზარალი მექნას, იმიდან დავთლი (ჯივანი); „გელინო, გელინო“... დამბიწყდა, დავბერდი, **ერცხვა** არ ვიცი (ავანა)...

ამ მნიშვნელობით გვხვდება ასევე **უკანა**:

გემიგონია, სხვა **უკანა** არ ვიცი (ჯივანი). იგულისხმება შელოცვის დარჩენილი ნაწილი.

დრამი – საერთოკლარჯულში გავრცელებული სიტყვაა, მისი მნიშვნელობაა: „მცირე, ძალიან ცოტა“. ამავე მნიშვნელობით იხმარება იგი კირნათსა და მარადიდშიც, მაგრამ მას მსაზღვრელად ყოველთვის ახლავს რიცხვითი სახელი **ერთი**: **ერთი დრამი**. კირნათელისა და მარადიდელისათვის „ერთი დრამი“ შეიძლება იყოს ყველი, წყალი, პური...

ერთი დრამი ყველი არ მაქვა; **ერთი დრამი** წყალი ჩაახსა; **ერთი დრამი** პური მინდა, მეტი ჰიჩ არა...

თურქეთის კლარჯეთის მეტყველებაში **დრამი** განურჩევლად იხმარება ყველა საზოგადო სახელთან:

დრამი ხალხი ვართ და ბევრი არა (ისკები); მე გურჯული **დრამი** ვიცი (ბაშქო); თქვენ პაწას იტყვით, ჩვენ – **დრამს** (ისკები); თოვლი ხან **დრამი** გათოვლდება, ხან – ბევრი (ისკები); ზამთარში აქ [მოსახლეობა] **დრამი** რჩება, თეელი წევლენ (ისკები)...

„რუსუდანიანზე“ დართულ ლექსიკონში სხვადასხვა ლექსიკურ ერთეულად არის შეტანილი **დრამი** და **დრამა**, თუმცა ორივე ერთი მნიშვნელობით (რუსუდანიანი 1957: 726). „ყარამანიანიში“ ამ სიტყვას მსაზღვრელად ახლავს „ერთი“: ვერცხლისაგან **ერთი დრამაღა** დარჩენილა (ყარამანიანი 1965: 600).

მომცრევა/მოცრევა კირნათსა და მარადიდში აღნიშნავს „მოგროვებას, სათითოდ აკრეფას“, უმეტესად მოსავლის აღების შემდეგ დარჩენილი ხილის, სიმინდის, ლობიოს, თხილის... მოგროვებას, მარცვლების აკრეფას:

მაგ ვაშლი **მოვმცრიე** წაღან; **მეიმცრიე** კარქათ, ერთიც არ დატოო; ამას ყველას **მოცრევა** უნდა გაწვიმებამდე (მოსაუბრე თხილის აკრეფაზე, მოგროვებაზე ამბობს).

მომცრევას ფულზეც იტყვიან: ფარას **იმცრევს**.

აქ მას „მოგროვების, მოკრების“ მნიშვნელობა აქვს.

თურქეთის კლარჯეთის მეტყველებაში ამ სიტყვის მნიშვნელობა გაფართოებულია, ნიშნავს „ხილის, ბოსტნეულის მოკრეფას, საერთოდ რაიმეს შეგროვებას, მოგროვებას“:

ქლიავი **მოგიმცრიოთ**, სხალი, რა გეჩქარებიან (ბუჯური); თხილი მომივდენ, თხილიწა **მოვმცრიო** (ჯივანი); ბევრი კიტრი მაქ, ღარჭებმა **მეიმცრევენ** (თხილაზორი); ხეჭეჭურად **მეცვრევთ**, გუუფენტ (ისკები); ლახანა **მეიმცრიო**, გარცხა (დევსქელი); კაკალი არი დარგილი, გუშინ **მეცმცრიე**, ერთი შორვა ანჯახ გავაკეთე (იბრიქი); მე **მეცვრიე**, მე გავაკეთე, მე დავარგი (თხილაზორი)...

მომცრევა/მომცლევა გავრცელებულია ქართლშიც, ნიშნავს „რთველის შემდეგ დარჩენილი მტევნებისა და მარცვლების კრეფას“ (დლონტი 1984). ძველ ქართულში გვქონდა **მოცურევა**, რომლის სინონიმი იყო **მოკუფხვლა**. **კუფხალი** ძველ ქართულში აღნიშნავდა მარცვალს და ენაცვლებოდა კიდევ მას პარალელურ რედაქციებში (ვრცლად იხ. ცინცაძე... 1998: 185-189).

საქმე / საქმოზა – ცნობილი მნიშვნელობის გარდა, რომელიც ამ სიტყვებს საერთოკლარჯულში აქვს, თურქეთის კლარჯულში, აჭარის (/საქართველოს) კლარჯულისაგან განსხვავებით, „სამსახურის, მუშაობის“ მნიშვნელობით გამოიყენება:

ჩემი კაცი **საქმეში** იყო (ჯივანი); აქ ფაბრიკა იყო, მადენში და იქ **საქმოზდა** (გურბინი); კაცები საქმოზენ ფაბრიკაში (დევსქელი); ორი ბიჭი ბურსას არიან, **საქმოზენ**, ქირაზე არიან (ბუჯური); ფაბრიკაში არ **მისაქმია** (ბუჯური); ანკარას **საქმოზს** (ტრაპენი); ბათუმ **საქმოზ?** (ადაგული); კაფე მაქვანან, იქ **ვსაქმოზ** (ერენქო); ერთი, ამ ღარჭის ბაბო იქ **საქმოფს** (ბუჯური); რუსები, ერმენები მოსულან **საქმოზისთვინ** (ავანა)...

ზოგჯერ პარალელურად იხმარება **მუშაოზად**:

პატინად (პატარა) იქ **საქმოზს**, ორი აქ **მუშაოზენ** (დევსქელი); ემეფლი ვარ, **მუშაოზა** გავათავე (გურბინი); მე აქ **ვიმუშავე** ირმი დედი (გურბინი)...

საქმობს ზმნას განსხვავებული მნიშვნელობით იმოწმებს შ. ფუტკარაძე მაჭახლურში (ქვაბითავის მეტყველებაში), ნიშნავს: „ხარობს, იზრდება“:

ჩვენ მიწაზე მიწიხაპად, ლობიო, სიმინდი **საქმობს** (ფუტკარაძე 1993: 313).

დასახელებულ ზმნას იმავე მნიშვნელობით იმოწმებს აჭარულში შ. ნიჟარაძე: ნაკაფ, ნახამურ ალაგებში ყართოფად და ხაპი კარქა **საქმობს** და შრალიც გამოდის (ნიჟარაძე 1971). კირნათ-მარადიდის მეტყველებაში **საქმობს** ამ მნიშვნელობით არ ჩანს.

ცარიელი სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში ცნობილი მნიშვნელობის გარდა თურქეთის კლარჯულში აღნიშნავს სამსახურიდან, სასწავლებლიდან თავისუფალს, საერთოდ უმუშევარს:

ერთი ორი ღარჭები **ცარიელი** იყვენ, ახლა იქ საქმობენ (ისკები); **ცარიელი** დავრჩი, ამოველ ბორჩხას (ჯივანი); მექთები[ს] დაწყებამდე **ცარიელი** ვართო (გურბინი)...

შექერი კირნათსა და მარადიდში იგივეა, რაც **შაქარი**. თურქეთის კლარჯულში მას „კანფეტის“ მნიშვნელობაც აქვს, ამიტომ იხმარება ზოგჯერ მრავლობითშიც:

იმას **შექერბ** მივსცემთ, ჰელვას მივსცემთ, ფეხ დავსცდით (ადაგული); მამამთილი **შექერ**, ფარას გადააყრის თავზე (ბუჯური)...

წინ დამოუკიდებლად ხმარებისას ცნობილი მნიშვნელობის გარდა (ადგილის ზმნიზედა) კირნათ-მარადიდის მეტყველებისაგან განსხვავებით თურქეთის კლარჯულში დროის ზმნიზედის (უწინ) მნიშვნელობითაც გვხვდება:

წინ მალე დაასახლებდენ, თერთმეტ-თორმეტი წლისას (ავანა); **წინ** ირმი ბეშ წელიწადი ისაქმებდი, გააგდებდი, ახლა გახდები ორმოცდაათი წლის, სამოცი წლის (ტრაპენი); **წინ** მეტი კაა იყო, იმღერებდენ (ერენქო); წრევლად არ ვაკეთებ, **წინ** ვაკეთებდი (ისკები); დემადვის, მაშინ დანიშნაც იქნება, ჰამა ახლა არ არი, **წინ** იყო (ავანა); აქ ზორ თოვლი იქნებოდა **წინ**, ჰამა ახლა არ არის (ისკები); ენ **წინ** მღერობდენ, გელინი[ს] გამოყვანიხან (ერენქო); ენ **წინ** [ინას] დავთესევდით (ერენქო); **წინ** ვიქმოდით, კომ ვეტყოდით (ჯივანი)...

ამ ზმნიზედის მრავლობითის ფორმა – წინაები აღნიშნავს „უწინდელებს“:

ამ სოფლის სახელი **წინაების** დარქმევლია.

პარალელურად გვხვდება აგრეთვე **უწინ**:

„ისკები“ თურქული არ არი, **უწინ** ერქვა, ახლა სოფელია, ცოტა გემაზდა (ისკები); **უწინ** ეს მეზრე ყოფილა (ისკები); **უწინ** პური დავთესევდით (ქართლა); დოდოფალი **უწინ** ცხენით მეფყვანდენ (გურბინი)...

უწინ ზმნიზედის ძირეული მასალა **წინ** ჩანს, საძიებელია **უ**ს წარმომავლობა. ხომ არ არის იგი იგივე **უ**-პრეფიქსი უქონლობის სახელებში რომ გვხვდება **ო** სუფიქსთან ერთად?

გაქცევა ცნობილი მნიშვნელობის გარდა თურქეთის კლარჯულში აღნიშნავს „ქალის მოტაცებას შეყვარებულის მიერ“:

ამას მის ბაბომ ჯერ არ მამღევდა, ელჩობის (=შუამავლობის) მემრე **გააქციე** (იბრიქი); ემიჯედს ქალის გოგო **გააქციეს** (ისკები)...

გაქცევა „ქალის გაპარვასაც“ ნიშნავს:

ამის ბადიში **გეჟცა** (ავანა)...

მიმღეობა **გაქცეული** აღნიშნავს „მოტაცებულსაც“ და „გაპარულსაც“:

ჩემი ნენე **გაქცევლია** (ისკები).

გაქცევა აჭარულშიც გვხვდება გამიეკიდას სინონიმად:

ჩვენი მეზფულე **გეჟცა**, ისმეთას გამიეკიდა ბათუმში (ორთაბათუმში).

გამოწევა, გამოღება თურქეთის კლარჯულში „სურათის გადაღებასაც“ აღნიშნავს:

გამომწიე, ცოტად დავბერდი (ჯივანი); კამერით **გამეწიე**, **გამეღე** (ისკები)...

მოკდა, **გადაბრუნდა** – თურქეთის კლარჯულში ამ სიტყვათა მნიშვნელობა გაფართოებულია: გადმოსცემენ რაიმე საგნის ხმარებიდან გასვლას, რომელიმე ჩვეულების, ტრადიციის მოშლას:

ახლა **გადაბრუნდა**, გურჯული არ აწავლიან (დეესქელი); ორი-სამი არაბა (=ავტომანქანა) ნიშანზე წავლენ, ახლა ცხენი **მოკდა** (მოუბარი საპატარძლოს დაწინდვას გულისხმობს)...

თურქეთის კლარჯულში გაფართოებულია მნიშვნელობა სიტყვისა **კარი**, აღნიშნავს „ეზოსაც“:

შორიდან მოსულებსა მივართვამთ საჭმელებს, თუ ტაროსი კადა, **კარში** მივართვამთ, თუ ზამთარია – სახში (ავანა); ცხენით მოვდა **კარზე** დოდოფალი (ერენქო); იმის **კარში** მექთები იყო (ისკები); **კარი** პირში თუთა იქნება, უკან – სხალი (სირეთი); განაყოფის ქათამი ჩვენ **კარში** არ მოვდოდა, მამალი არ მუშუშებდა (თეშვიქი); **კარში** სირა (=რიგი) გავხდებით (ავანა); თქვენ ასე **კარისკარზე** დარებით და აწერიებთ – ჰო? (ერენქო)...

თურქეთის კლარჯულში **ეზო** არ არის გავრცელებული. საინტერესოა ხეზას ერთ-ერთი მკვიდრის შენიშვნა: „კარ-მიდამო იქნება, კალო იქნება, **ეზოს** მურღულმა ბელქი იხმარავს“ (ხეზა)...

3. საერთოკლარჯულის სიტყვათაგან ზოგიერთს კირნათ-მარადიდსა და თურქეთის კლარჯეთში განსხვავებული მნიშვნელობა აქვს.

ვეყუდები, **ეყუდება** კირნათსა და მარადიდში ნიშნავს „უსაქმოდ სიარულს, ხეტიალს“, თურქეთის კლარჯულში – „ზევით, სიმაღლეზე ასვლას“:

წელი მტკივა, წელი, ვერ **ვეყუდები** ზეითკენ (ერენქო)...

ჩაყუდება ქვევით ჩასვლას აღნიშნავს:

ეს არ'ნა დათვალო, **ჩაყუდებიხან** იქ ჩეარო (ისკები)...

მოშლა თურქეთის კლარჯულში, კირნათ-მარადიდის მეტყველებსაგან განსხვავებით, ნიშნავს „გაფუჭებას“:

იმ დერგში არც ყაურმა **მეიშლება**, არც ბეთმეზი, არც ძალი, ჰიჩ არ **მეიშლება**, სასმელი თუთუნი იმ დერგშიგან არ **მეიშლება** (ჰამიდი); ბაღვებმა უთხრეს, ჩვენ რაჰათი **მეგვეშლა**, წყითო (ქირიმითი)...

პირდაპირ კლარჯულში იხმარება რიგობითი რიცხვითი სახელის „პირველისა“ და ამავე ფუძის „პირველად“ და „ჯერ“ ზმნიზედების მნიშვნელობით:

პირდაპირ მექთები აქ გავათავე (მარადიდი); ძველი დუგუნები სახლებში იქნებოდა, **პირდაპირ**, ენ წინ გოგოს სახში, მერე – ბიჭის სახში (მარადიდი)...

4. ზოგიერთი სიტყვა კლარჯეთის მხოლოდ ერთ ნაწილშია გავრცელებული; თურქეთის კლარჯულში დასტურდება სიტყვები, რომლებიც არ გვხვდება საქართველოს კლარჯულ მეტყველებაში (ზოგიერთი საერთოა შავშურისთვისაც):

არიგავს ზმნას აქვს „იცის“ ზმნის მნიშვნელობა:

გოგოს ნენეჲ ჰიჩ ვერ **არიგავდა** თურქა და ახლა **არიგავს** (ისკები); თქვენ ლაპარიკ ვერ **ვარიგავ** (ისკები); თელევიზორში ამბობენ, ვერ **გიმირიგებია** (ქართლა); თქვენი თელევიზიონის კანალი ყური ვუგდება, **ვარიგავ**, ჰამა თელ ვერ **ვარიგავ** (თხილაზორი); გენჯების საქმე ჩვენ ვერ **ვარიგავთ** (ისკები); [გურჯულს] **არიგებენ** და ვერ ულაპარიკნიან (ავანა)...

იჯებნება – „ხარობს, იზრდება“ (მცენარე, ბოსტნეული, ხილი):

ლეღვი – ინჯირ დაბანია (გარეულია), არ **იჯებნება**, დაარგავ, ჰამა არ იქნა (ისკები).

იჯებნებას ფონეტიკური ვარიანტი უნდა იყოს **იმებნება**:

წინ პურ დავთესევდით, პური არ **იმებნება** (გურბინი); კაკალი ჰერსენე (ყოველ წელს) **იმებნებოდა**, წრეღა არ **იმებნება** (იბრიქი)...

ამავე მნიშვნელობით კლარჯულში იხმარება ასევე **შიეიქმნება**:

აქ ყურძენი არ **შიეიქმნება**, აქ ცივა და მალ არ **შიეიქმნება** (ისკები).

ეს მნიშვნელობა აქვს **საქმოზს** ზმნასაც (იხ. ზემოთ).

იჯებნება შესაძლებელია დაუკავშირდეს აჭარულ **იჯება**’ს, ნიშნავს **ირჯება**, **შვრება** (დლონტი 1984). შდრ. პური არ **შვრება** / არ **იჯება**; პური არ **საქმოზს** (არ მუშაობს) – ნიშნავს: არ ხარობს, არ მოდის...

მოლი კლარჯულში „ბალახის, ველური მხალეულის“ მნიშვნელობით იხმარება:

მოლები მოვთიბე, ვახმოზ, მერეგში შევნახთ (ისკები); აქ ბევრი **მოლები** არიან: ანწლი, ჯინჭარი (ადაგული); იქნებოდა საქმე, იქმოდა, **მოლი** მოთიბდა (გურბინი)...

ფერხული, ფერხულობა აღნიშნავს „ცეკვას“:

ფერხულობას იქმენ, ისამებენ (ისკები); **ფერხული**, სიმღერა ზორ ვქენევდით (ერენქოჲ); ...**იფერხულებენ**, იმღერებენ (ბუჯური)...

ღარჭი „ბავშვის“ მნიშვნელობით თურქეთის კლარჯულში იხმარება, კირნათსა და მარადიდში ეს სიტყვა არ იცია. **ღარჭი** შავშურშიცაა ფართოდ გავრცელებული „ბიჭის, ვაჟის“ მნიშვნელობით (იხ. შავშეთი 2011: 287-288): კარებს დუყური და **ღარჭებთან** წავალ (ბუჯური); **ღარჭებს** ასწავლებენ, დერსს (=გაკვეთილს) აძლევენ (ბუჯური)...

შეშა / შიშა არქაული მნიშვნელობით (ხე) ფართოდ არის გავრცელებული თურქეთის კლარჯულში, საერთოდ სამხრულ კილოებში, გარდა აჭარულისა. არ გვხვდება იგი კირნათ-მარადიდის მეტყველებაში:

დაჯექ, **შიშის** სკამია, დაბალი სკამი (გურბინი) (ვრცლად იხ. შავშეთი 2011: 288).

ლაში თურქეთის კლარჯულში ადამიანის „ბაგეებს, ტუჩებს“ აღნიშნავს, უარყოფითი ელფერის გარეშე (შდრ.: ლაში – ადამიანის დიდი და უშნო ტუჩი – ქეგლ):

ჩემი ღარჭები არიგებენ, ჰამა **ლაშიდან** ვერ უთქმიან (ქართლა); მე იმფერი კაცი ვარ, **ლაში** და გული ერთი მაქ, ზოგი მარტო ლაშია (დევსქელი)...

შემახება თურქეთის კლარჯულში აღნიშნავს ძაღლის, ფუტკრის შეტევას, საკბენად გაწევას:

ჩემი ძაღლი მე არა, დაბანჯი (=უცნობი, უცხო) იქნება, **შემახება** (ისკები); ძაღლი მყავდა, ჰემ ჭკვიანი, ერთ კაც უცემია და იმა[ს] **შემახა** (ისკები); ფუტკარი **შეგემახება** ზორ (ისკები)...

ჩინი – „ძალა, ღონე“:

ჩინი არ მაქვს, ვერ ვილაპარაკებ (ბაშქოდ); ლაპარაკის **ჩინები** არ მაქვს (ბაშქოდ)...

შდრ.: თვალების **ჩინი** წიმივდა (ჯივანი)...

ჩინი დასახელებული მნიშვნელობით მხოლოდ თურქეთის კლარჯულში გვხვდება.

განაყოფი საქართველოს კლარჯულში არ გვხვდება, თურქეთის კლარჯულში (შავშურსა და ტაოურშიც) კი აღნიშნავს „მეზობელს“¹:

ჩემი რძლის **განაყოფები** არიან (ერენქოდ); ჭად ვაცხოზ, **განაყოფები** მამლევენ (ერენქოდ)...

ბევრი სიტყვა, რომელიც გავრცელებულია საქართველოს კლარჯულში (კირნათ-მარადიდის მეტყველებაში), არ გვხვდება თურქეთის კლარჯულში:

კალო კირნათ-მარადიდში აღნიშნავს „ეზოს“:

ჰე, დედავ, დაგვაყენე-და, **კალოზე** რაზ ვართ (კირნათი); ეს ბაღნები რომ არ მცილდებიან **კალოზე** (კირნათი); **კალოზე** გეველ და ფეხებზე შემცივდენ (მარადიდი); იმ გოგომ წევდა და ჩვენ **კალოზე** ვერ გავყევით (მარადიდი); ჰაზირი მაშინა **კალოზე** ჩამოგეყვანა (კირნათი); ბაღნები ძაღლებ აჯადინებენ **კალოზე** (მარადიდი); ენას განა არ ამბოფს, თავ აქნევს, **კალოზე** დგას ლანდსავეფ (კირნათი)...

კალო „ეზოს“ მნიშვნელობით გვხვდება აჭარულშიც: ნენი, ბედი **კალოზე** მომსლია და... (ორთაბათუმი). აჭარაში გვხვდება მსხლის ჯიში კალოკიდურაჲ (ნიჟარამე 1971), რაც სხვა არაფერია, თუ არა **კალოს** (ეზოს) კიდურში (კიდეში) მდგარი მსხალი.

მასკან (<მას უკან) იხმარება „შემდეგ“ ზმნიზედის მნიშვნელობით:

ემრედ რომ წევდა, **მასკან** წამოსლა არ გუუვლია გულში (კირნათი);

¹ განაყოფი საყურადღებო ეთნოლოგიური ტერმინია, თანამედროვე გაგებით ნიშნავს მეზობელს. იმავე მნიშვნელობით შავშურსა და ტაოურში იხმარება განაყარი. აჭარულში განაყოფი ან განაყარი ჯერ-ჯერობით არ დადასტურებულია. ტერმინი (განაყოფი, განაყარი) უკავშირდება ჭოროხის ხეობაში სოფლის დასახლების სტრუქტურას, კერძოდ: სოფელში პატრიარქალური ოჯახები ერთად ცხოვრობდნენ, ჰქონდათ ერთიანი საკუთრება (სახლი, მიწის ნაკვეთი...) და ქმნიდნენ სოფლის უბანს, რაც კარგად ჩანს ტოპონიმიაში. მხედველობაში გვაქვს -ეთ სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები, რომელიც ფართოდაა გავრცელებული ჭოროხის ქვეყნებში, და რომელშიც ნაწარმოებელი სუფიქსი კონკრეტული ოჯახის/სახლის კუთვნილს აღნიშნავს: შაქარეთი - შაქარას ოჯახის კუთვნილია (დეესქელი), პეტრეთი - პეტრეს ოჯახის კუთვნილი (ხოდი)... როდესაც ოჯახი იზრდებოდა, იყოფოდა (გაიყრებოდა) და განაყოფი ახალ ოჯახს წარმოქმნიდა სოფლის იმავე უბანში. ასე ყალიბდებოდა განაყოფებით, განაყარებით დასახლებული უბანი სოფლისა. აქედან, განაყოფები, განაყარები სისხლით ნათესავები არიან. მეზობელი გვიან გაჩენილი ტერმინი უნდა იყოს, როცა სისხლით ნათესავებით დასახლებულ უბანში სხვებიც, არანათესავეებიც დასახლდნენ...

მე თუ არ მჯობან, შეხე ერთი და **მასკან** თქვი, დაბერდაო (კირნათი); ახლა დიმიშინე კარქა, **მასკან** არ მკითხო (მარადიდი); **მასკან** წევდენ და ნახენ მეგერ ჩამალილი (მარადიდი); ჰაცხან შეინახს და ეძებე **მასკან** შენ (მარადიდი).

მასკან ზმნიზედას შავშურში ადასტურებს შ. ფუტკარაძე (ფუტკარაძე 1993: 499), იმავე ზმნიზედას **მასქან** ფორმით აჭარულში – შ. ნიჟარაძე (ნიჟარაძე 1971).

გაშვება „დატოვების, მიტოვების“ მნიშვნელობით გავრცელებული ლექსიკური ერთეულია:

ლობიოც ჩალაზე **გაგაშვი** მაგზე, მოსაკრეფია (კირნათი); კარ-მიდამო ხომ ვერ **გააშვეფ** მარტომ? (მარადიდი).

აჭარულში **გაშვებას** ორი მნიშვნელობა აქვს: „საყანედ გაშვება“ 1. ადგილის მომზადება საყანედ. საჩაირედ გაშვება – სათიბად გამოყოფა ადგილისა; 2. „გაცვენა“: თმის გაშვება – თმის გაცვენა; ცოლის გაშვება – ცოლთან გაყრა (ნიჟარაძე 1971). ბოლო მაგალითში **გაშვებას** „მიტოვების“ მნიშვნელობა აქვს. შდრ.: ქალი (ცოლი) გაუშვა – ქალი მიატოვა, ცოლს გაეყარა.

გაშვება ამ მნიშვნელობით იხმარება „ქილილა და დამანაში“, „ყარამანიანიში“, „რუსუდანიანიში“ (ცინცაძე... 1998: 200).

დაკაზმვა კირნათსა და მარადიდში „მარცვლეულის გადარჩევას“ ნიშნავს:

პური[ს] მარცვალ გარცხა მინდა და ისე **დაკაზმა** (კირნათი)...

დაკაზმვის აღნიშნული მნიშვნელობა ჩანს მიმღეობაში **დასაკაზმელი**:

პური[ს] კაკალი ჩამედტანა **დასაკაზმელად** (მარადიდი); პური[ს] კაკალი **დასაკაზმელია**, წისქვილზე ვერ წევდევ (კირნათი)...

დაკაზმვა აღნიშნული მნიშვნელობით დასტურდება აჭარულშიც (ნიჟარაძე 1971).

აწ / აწი დროის ზმნიზედა ქართული ენის დიალექტებში უმეტესად მომავალ დროს აღნიშნავს. კირნათსა და მარადიდში იგი ახლანდელი დროის აღმნიშვნელიცაა. ეს მნიშვნელობა ჩანს თანდებულის ფორმებში აწმამდი და აწმისუკან:

აწ – ახლა. **აწმის უკან** – ამის (ახლას) შემდეგ:

აწმამდი რაები არ იმახდა მისთინ, **აწმისუკან** აღარ წედკინდლებიან (კირნათი).

დანდობა – ნიშნავს „რაიმეს დაბარებას“ (ქობულეთურში ამ მნიშვნელობით იხმარება **დამოწმება** (ნოღაიდელი 2015): ხომ **დიგიმოწმე**, გააკეთე-მეთქინ. ბათუმის მიმდებარე სოფლების მეტყველებაშიც იმავე მნიშვნელობით იხმარება **დანდობა**: მამაშენს დავანდე და ამოიტანს (ყოროლისთავი):

მასკან კითხა მეგერ დერდები, რომენ **დაანდეს** თევზმა, გემჯიმ და ბალჯიმ (კირნათი); კროხი დააბიო, მეგერ **დაანდო** ქალმა (კირნათი); მე რა **დაგანდე** შენ? (კირნათი); **დაგანდო**, შენმა ნენეშენმა, ედიო? (მარადიდი)...

საქართველოს კლარჯეთისა და თურქეთის კლარჯეთის მეტყველებაში არსებული განსხვავება უნდა აიხსნას იმით, რომ ისინი

საუკუნის განმავლობაში მოწვევითი იყვნენ ერთმანეთს. კირნათლებსა და მარადიდლებს ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდათ აჭარლებთან, მათ მეტყველებაში ლექსიკური თანხვედრა სწორედ ამ ურთიერთობის შედეგია.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

კლარჯეთი 2016: მ. ფაღავა, მ. ცინცაძე, მ. ბარამიძე, მ. ჩოხარაძე, თ. შიოშვილი, შ. მამულაძე, რ. ხალვაში, ნ. მგელაძე, ზ. შაშიკაძე, ჯ. კარალიძე, კლარჯეთი. თბილისი, 2016.

ნიჟარაძე 1971: ნიჟარაძე შ., ქართული ენის აჭარული დიალექტი (ლექსიკა). ბათუმი, 1971.

ნოღაიდელი 2015: ნოღაიდელი ჯ., აჭარული კილოს სალექსიკონო მასალები. ბათუმი, 2015.

ორბელიანი 1949: ორბელიანი ს.-ს., სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი. ს. იორდანიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით. თბილისი, 1949.

რუსუდანაიანი 1957: რუსუდანაიანი, ძველი ქართული კლასიკური ლიტერატურა. ილია აბულაძისა და ივანე გიგინეიშვილის რედაქციით. თბილისი, 1957.

ტაო 2020: მ. ფაღავა, მ. ცინცაძე, მ. ბარამიძე, მ. ჩოხარაძე, თ. შიოშვილი, რ. ხალვაში, ნ. მგელაძე, ზ. შაშიკაძე, მ. ხალვაში, ჯ. ჩხვიმიანი, ჯ. კარალიძე, ტაო. თბილისი, 2020.

ფაღავა... 2009: მ. ფაღავა, მ. ცინცაძე, კლარჯული მასალები. ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კრებული, VI. ბათუმი, 2009.

ფუტკარაძე 1993: ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული. ბათუმი, 1993.

ქეგლ 1950-1964: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII. თბილისი, 1950-1964.

ქეგლ 2008-2019: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია, ტ. I-IV, თბილისი, 2008-2019.

ღლონტი 1984: ალექსანდრე ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. თბილისი, 1984.

ყარამანიანი 1965: ყარამანიანი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთეს ალექსანდრე გვახარიაშვილს და სარგის ცაიშვილმა. თბილისი, 1965.

შავშეთი 2011: მ. ფაღავა, თ. შიოშვილი, შ. მამულაძე, მ. ცინცაძე, მ. ჩოხარაძე, ზ. შაშიკაძე, ნ. ცეცხლაძე, თ. ფუტკარაძე, მ. ბარამიძე, ჯ. კარალიძე, ვ. ჩოხარაძე, შავშეთი. თბილისი, 2011.

ცინცაძე... 1998: ცინცაძე მ., ფაღავა მ., სამხრული დიალექტები და ქართული სამწერლობო ენა (V-XVIII სს.). ბათუმი, 1998.